სწავლების ფორმატები

ნანული ჩიტაშვილი
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია
განათლების რეფორმა ითვალისწინებს სხვადასხვა სწავლების ფორმატების დანერგვის და განვითარების საკითხებს სწავლების გაუმჯობესების მიზნით. სწავლების ფორმატების წარმატებული გამოყენება უზრუნველყოფს წარმატებულ რეზულტატს. სასწავლო მიზნების და სტუდენტების და მასწავლებლების წარმატების შედეგები დევს სწავლების ფორმატების სწორად გამოყენებაში. წარმოგიდგენთ მასწავლებლებისთვის კარგად ცნობილ ფორმატებს. მე არ ვაპირებ ამ სტრატეგიების დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარს, მაგრამ გავაკეთებ მოკლე კომენტარებს, შენიშვნებს, რომლებიც არის ძალიან მნიშვნელოვანი მასწავლებლებისთვის. ეს ზემოთ დასახელებული სტრატეგიები ანუ ფორმატები არის: ლექციის მეთოდი, დამოუკიდებელი და საშინაო დავალება, ზეპირი გამოკითხვა და შეკითხვების დასმა და ჯგუფური დისკუსია.

სწავლების სტრატეგიები ანუ ფორმატები წარმოადგენს სწავლების მოდელებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ლექციების ასაგებად, იმსთვის, რომ სასწავლო მიზნები გავხადოთ უფრო პროდუქტული და რეალიზებადი. არსებობს მთელი რიგი სტრატეგიებისა, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან სფუძველს წარმოადგენს წარმატებული სასწავლო გეგმის და მიზნის მიღწევის საკითხში. ეს მეთოდებია: ლექციის მეთოდი, დამოუკიდებელი სამუშაო და საშინაო დავალება, ზეპირი გამოკითხვა და შეკითხვების დასმა და ჯგუფური დისკუსია.

ლექციის მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია დიდ ჯგუფებთან მცირე დროის განმავლობაში ვრცელი მოცულობის მასალის მისაწოდებლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებელი სხვადასხვა წყაროდან აღებული ინფორმაციის უფრო მცირე დროში გაერთიანებას შეძლებს ვიდრე სტუდენტები. ლექციის მეთოდი ძირითადად გამოიყენება ახალი თემის გასაცნობად, ძირითადი ინფორმაციის გადასაცემად და სტუდენტების მოტივაციისთვის. ეს მეთოდი ეხმარება სტუდენტს, რომ ისწავლოს ზუსტად და კრიტიკულად მოსმენა და აძლევს მასწავლებელს საშუალებას განახორციელოს ცვლილებები სწავლების მომენტში, იმ მიზნით, რომ დაეხმაროს სტუდენტებს მასალის უკეთ გაგებაში. ლექციის მეთოდის გამოყენებისას სასურველია მივყვეთ ლექციის მეთოდის ფაზების სამნაწილიან ფორმატს:

საწყისი ეტაპი: მზადება სწავლისთვის

ა)ძირითადი მიზნები და დროის განაწილება

ბ).ახალი მასალის წარდგენისთვის კონტექსტის უზრუნველყოფა

გ).ყურადღების გამახვილება ძირითად ცნებებზე, განზოგადებაზე და საფუძვლებზე, რომელსაც შეიცავს ლექცია

მეორე ეტაპი: პრეზენტაცია

ა).შინაარსის თანმიმდევრობა მარტივიდან რთულისკენ

ბ).პრეზენტაციის გაფართოვება ვიზუალური საშუალებების გამოყენებით

გ).ყურადღების სტუმულირება ვერბალური თუ არავერბალური ქცევით

დამამთავრებელი ეტაპი: შეჯამება

ა).სტუდენტის ცოდნისა და გამოცდილების შეჯამება

ბ).გადასვლა მომდევნო აქტივობაზე ან გაკვეთილზე

პრეზენტაციის მსვლელობისას სტუდენტები მუშაობენ წყვილებში. ერთი მათგანი არის მომხსენებელი, დანარჩენები აკრიტიკებენ გამოსვლას. ეს სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ საკუთარი აზრები თავისუფლად გადმოსცენ, მოწმდება ახსნილი მასალის გაგების ხარისხი და ა.შ.

იმ მიზნით, რომ სტუდენტები ვამყოფოთ აქტიურად და კოგნიტურად ჩაბმული ლექციის მსვლელობაში, სასურველია სხვადასხვა ტიპის დავალებების გამოყენება, მაგალითად:

1. დასვით შეკითხვა. ყველას სთხოვეთ, რომ ჩაიწერონ პასუხი, შემდეგ კითხეთ: “რამდენ სტუდენტს ექნებათ სურვული გაუზიარონ ერთმანეთს აზრები?”
2. პრეზენტაციის გარკვეული ნაწილის დამთავრების შემდეგ სთხოვეთ სტუდენტებს დაასრულონ წინადადება:”მე ვისწავლე. . , მე ვფიქრობ. . , მე გამიკვირდა. . .” გაუზიარონ ერთმანეთს აზრები.
3. მიაწოდეთ მოკლე განმარტება, სთხოვეთ იმუშაონ წყვილებში, რომ შეიმუშაონ იდეა ან პროცესი.
4. კითხეთ: “რამდენმა თქვენგანმა. . ? რამდენი თქვენგანი არის მზად, რომ. . ? რამდენი თქვენგანი ეთანხმება. . ?” შედეგები დაითვალეთ.
5. მთელს ჯგუფს გუნდურად გაამეორებინეთ მნიშვნელოვანი ფაქტები, იდეები, რისი დამახსოვრებაც აუცილებელი და სავალდებულოა.
6. სტუდენტებს უთხარით, რომ თქვენ ისაუბრებთ მოკლედ 3 ან 4 წუთის განმავლობაში. მათ უნდა მოგისმინონ და არ გააკეთონ ჩანაწერები. დროის გასვლის შემდეგ კი სთხოვეთ დაწერონ ძირითადი იდეა, მოკლე შინაარსი ან შეკითხვები, რაც აქვთ მოსმენილი ინფორმაციის შესახებ.

ლექციის მეთოდს აგრეთვე გააჩნია ნაკლოვანებებიც. შეიძლება ზოგ სტუდენტს ჰქონდეს პრობლემები მოსმენასთან დაკავშირებით. ლექციის მეთოდი სტუდენტებს აყენებს პასიურ მდგომარეობაში. ის შემეცნებითი სამუშაოს დიდ ნაწილს იძლევა სტუდენტებისთვის და შეიძლება ხელი შეუშალოს მათ შეკითხვების დასმასა თუ მოფიქრებაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტუდენტები სწავლობენ და გაიაზრებენ მასალას სხვადასხვა სიჩქარით, ტემპით, მაშინ, როდესაც ლექცია გრძელდება მასწავლებლის საკუთარი ტემპით.

დამოუკიდებელი სამუშაო და საშინაო დავალება. ეს ტექნიკა ფართოდ გამოიყენება მასწავლებლების მიერ. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტი დარჩეს აქტიური და ჩაბმული სასწავლო მუშაობაში. ამიტომ მნიშვნელოვანია არა დიდი მოცულობის, ბევრი დავალების შესრულება, შემოწმება, ან მუშაობა ახალ მასალაზე, არამედ ლექციის უშუალო გაგრძელება, მისი განხილვა და პრაქტიკა. სტუდენტებმა უნდა დაინახონ კავშირი საშინაო დავალებას, დამოუკიდებელ სამუშაოსა და ლექციას შორის. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დავალების შესრულების მიზნები და პირობრბი იყოს რაც შეიძლება ნათლად და გარკვევით ახსნილი, თუ რატომ სჭირდება სტუდენტს ამის შესრულება. სამუსაოს შესრულებისთვის აუცილებელი ყველა მასალა უნდა იქნას უზრუნველყოფილი, ამასთანავე დავალება არ უნდა იყოს დამტვირთველი, არამედ იმდენად ადვილი, რომ სტუდენტებმა თავი გაართვან

სამუშაოს სხვების დახმარების გარეშე. რადგან, მაგალითად, როდესაც დამოიკიდებელი სამუშაო არის ძალიან რთული, სტუდენტები მიმართავენ გადაწერას, გამოცნობას, ვარაუდს, ავსებენ ფურცელს მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაო მალე დაასრულონ.

ინდივიდუალური, ჯგუფური, დამოუკიდებელი თუ საშინაო დავალების მიწოდებისას, პირველ საფეხურზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ სტუდენტებმა გაიგეს მითითებები და სავარჯიშოს პირობები. ამ მიზნით სასურველია რამდენიმე მაგალითის წინასწარ განხილვა. მეორე საფეხურზე კი მნიშვნელოვანია სტუდენტების პასუხისმგებლობა სამუშაოს სწორად შესრულებაზე, რაც გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან სამუშაოს სისტემატურ შეფასებას, შემოწმებას, კონტროლს. ამით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გადაამოწმონ ნამუშევარი და დაითვალონ შედეგები.

დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება მოითხოვს აკურატულ მონიტორინგს. მასწავლებელი უნდა გადაადგილდეს ჯგუფის გარშემო და არ დახარჯოს დიდი დრო მხოლოდ ერთ ან ორ სტუდენტთან. საუკეთესოა მოკლე იშვაითი კონტაქტები. მნიშვნელოვანია სტუდენტებმა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ, როცა დახმარება დასჭირდებათ, შეიძლება ვურჩიოთ ჯერ სამ ჯგუფელს სთხოვონ დახმარება, შემდეგ კი მასწავლებელს: "ჯერ სამს კითხეთ შემდეგ კი მე."

ზეპირი გამოკითხვა და შეკითხვების დასმა. ეს სტრატეგია მრავალი წელია გამოიყენება. მასწავლებლები სვამენ შეკითხვებს, რომელიღაც გარკვეული გეგმის მიხედვით, რასაც მოჰყვება სტუდენტების პასუხი, და ამ პასუხებზე მასწავლებლის დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია, კორექცია ან მოთხოვნა დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესახებ და სხვა.

არსებობს შეკითხვათა ორი ტიპი: კონვერგენტული და დივერგენტული.
პირველი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ სწორ პასუხს (შეკითხვები ფაქტების შესახებ), მეორე კი გულისხმობს შეკითხვებს რამოდენიმე სწორი პასუხით (ასახავს მოსაზრებას ან ჰიპოთეზას). როგორც მაღალი დონის (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) ასევე დაბალი დონის შეკითხვები შეიძლება, რომ იყოს ეფექტური. სწავლებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აგრეთვე მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად გამოყოფილი დროის საკითხი. სტუდენტი, რომ დახელოვნდეს კრიტიკულ აზროვნებაში და პრობლემების გადაჭრის უნარებში აუცილებელია მათ მიეცეთ შესაძლებლობა, რომ ამ უნარებში ივარჯიშონ. მათ აგრეთვე სჭირდებათ დრო პასუხის მოფიქრებისთვის. კლევები კი ადასტურებს, რომ მასწავლებელი პასუხს მხოლოდ ერთი წამის განმავლობაში უცდის, მაშინ როდესაც სამ-ხუთ წამს უნდა უცდიდეს. ამის გამო შესაძლებელია მასწავლებელმა იფიქროს, რომ სტუდენტები არ არიან კარგად მომზადებულები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შეკითხვაზე საპასუხოდ გამოყოფილი 5 წამის ლოდინის მართვა მასწავლებლის მხრიდან ძალიან რთულია, ამ შემთხვევაში მასწავლებელს დაეხმარება დამატებითი სამუშაოს შეთავაზება სტუდენტებისთვის მოსაზრებების ჩაწერის სახით, ან შეკითხვაზე მსჯელობით და ა.შ. მნიშვნელოვანია, როგორც აქტიური ასევე პასიური სტიუდენტების თანაბრად გამოკითხვა, მაგალითად ბარათების გამოყენებით: მასწავლებელი პასუხის შესახებ თითოეული სტუდენტისთვის გამოყოფილ ბარათზე ჩაინიშნავს კომენტარს და ბარათს გადადებს, რისი დახმარებითაც გამოირიცხება ერთი სტუდენტის მრავალჯერ გამოკითხვა, ეს უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის გამოკითხვას.

მასწავლებლის რეაქციები სტუდენტების პასუხებზე, შეიძლება იყოს შემდეგი:

ა).თუ პასუხი არის სწორი, მაგრამ მერყევი და გაუბედავი, მაშინ მასწავლებელმა უნდა მისცეს კორექცია თუ, რატომ არის პასუხი სწორი "სწორია რადგან. . ." ეს მასლის ხელახლა აიხსნის საშუალებას იძლევა.

ბ).თუ პასუხი არის სწრაფი, სწორი და მტკიცე, პასუხი მიიღება მარტივად და მასწავლებელი გადადის შემდეგ შეკითხვაზე.

გ).თუ პასუხი არის სრულად ან ნაწილობრივ მცდარი, მაგრამ გულწრფელი, მასწავლებელი იძლევა მეტ ინფორმაციას, ამარტივებს შეკითხვას, მიმოიხილავს წინა პასუხებს ან ხელახლა ასწავლის მასალას.

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით გამოიყოფა შეკითხვათა შემდეგი ტიპები კოგნიტურ დარგში:

კატეგორია	მოსალოდნელი აზროვნების ტიპი	მაგალითები
ცოდნა, მახსოვრობა	ნასწავლი ინფორმაციის მოგონება	განმარტება რა არის . . ? რას ამბობს ტექსტი. . . შესახებ?
აზროვნება, გაგება	მასალის გაგების დემონსტრირება, ტრანსფორმირება ინტერპრეტაცია	განმარტე შენი სიტყვებით, შეადარე, რაში მდგომარეობს ძირითადი აზრი? აღწერე.
გამოყენება	ინფორმაციის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად	რომელი პრინციპი არის წარმოდგენილი? გამოიყენე. . .რომ გადაჭრა. . ?
ანალიზი	კრიტიკული აზროვნება, მიზეზის ან მოტივის განსხვავება, დასკვნის გაკეთება, დასკვნის ანალიზი	რა გავლენა შეინიშნება ნაწარმოებზე? რომელი არის ფაქტი და რომელი მოსაზრება?
სინთეზი, შექმნა	დივერგენტული ორიგინალური აზროვნება, ორიგინალური გეგმა, წინადადება, დიზაინი, მოთხრობა.	რა არის კარგი სახელი . . .თვის? როგორი იქნებოდა . . . თუ?
შეფასება	მსჯელობა იდეების შესახებ, სტანდარტების გამოყენება.	რა? რომელი? რატომ? რომელია. . ?

ჯგუფური დისკუსია ზეპირი გამოკითხვის მსგავსია. მასწავლებელმა შეიძლება დასვას შეკითხვა, მოისმინოს სტუდენტების პასუხი, მოახდინოს რეაგირება, გამოიკვლიოს უფრო მეტი ინფორმაცია, მაგრამ როდესაც რეალურ ჯგუფურ დისკუსიას მივმართავთ მაწავლებლის როლი აღარ არის დომინანტური, არამედ მასწავლებელი არის დამკვირვებელი. სტუდენტები სვამენ შეკითხვებს, პასუხობენ და ერთმანეთის პასუხებზე რეაგირებენ. ჯგუფურ დისკუსიას ბევრი უპირატესობა გააჩნია: ეხმარება სტუდენტებს გამოხატონ საკუთარი აზრები თავისუფლად, ტოლერანტულები იყვნენ ერთმანეთის მოსაზრებების მიმართ, გამოიმუშაონ მსჯელობის უნარი, შეაფასონ იდეები, პიროვნული შეხედულებების სინთეზი მოახდინონ, იტვირთონ პასუხისმგებლობა ჯგუფში ლიდერის როლის მიღებით. ჯგუფური დისკუსია წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა რთული ცნებების ასახსნელად, დედუქციით მიდიან სწორ დასკვნამდე.

ეფექტური ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი მასწავლებელთათვის:

1.უზრუნველყავით მორცხვი სტუდენტების ჩაბმა დისკუსიაში:

*შენ რას ფიქრობ ამ საკითხთან დაკავშირებით?
*არ დაიცადოთ სანამდის სიჩუმე ჩამოდგება, რომ მორცხვ სტუდენტებს კითხოთ.
2.განავრცეთ სტუდენტების კომენტარები.
*ეს შესანიშნავი აზრია, რას ფიქრობთ მისი იდეის შესახებ?
*ეს შესანიშნავი შეკითხვაა, თქვენ როგორ უპასუხებდით ამ შეკითხვას? *მიუთითეთ, რომ საუბრის დროს ერთმანეთს უნდა უყურონ და არა მასწავლებელს.
3. დარწმუნდით, რომ სწორად გაიგეთ სტუდენტის ნათქვამი.
*ერთ-ერთ სტუდენტს სთხოვეთ განავრცოს პირველი სტუდენტის მოსაზრება, და თუ არასწორია მოსაზრების ავტორი მას განმარტავს.
*."მე ვფიქრობ რომ შენ გინდა თქვა. . , თუ რაღაც ვერ გავიგე?"
4.მოიძიეთ უფრო მეტი ინფორმაცია.
*."გაქვს იმის საფუძველი რომ. . ?"
*."როგორ მიხვედი ამ დასკვნამდე? რით ისერგებლე?"
5.დისკუსია არ უნდა გასცდეს მოცემულ თემას.
*"სანამდის გავაგრძელებდით მოდით ვნახოთ რა მოხდა წინ."
6.მიეცით დრო სანამდის კითხავთ პასუხს.
*დასვით შეკითხვა. სთხოვეთ პასუხები ჩაიწერონ, ". . .ხომ არ გვეტყოდი რა დაწერე?"
7.სტუდენტის საუბრის დასრულების შემდეგ მიმოიხედეთ, გაარკვიეთ რეაქციები. რეაგირება მოახდიბეთ მათ რეაქციაზე. თუკი რეაქცია არის დადებითი, სთხოვეთ მაგალითის მოყვანა, თუკი უარყოფითი - განმარტონ რატომ.

ჯგუფურ დისკუსიას გააჩნია ნაკლოვანებებიც. იგი არის წინასწარ განუჭვრეტელი. ჯგუფის რომელიმე წევრს შეიძლება ჰქონდეს პრობლემები მონაწილეობასთან დაკავშირებით, შეიძლება აღელდეს, შეწუხდეს თუკი საუბარს დავაძალებთ. დამატებით უნდა შეამზადოთ სტუდენტები, რომ მათ აქვთ საფუძველი და უკვე მზად არიან დისკუსიისთვის, შეიძლება ჯგუფში დომინირებდეს მხოლოდ რამდენიმე სტუდენტი და მათ უნდა მიუთითოთ, რომ სხვასაც მისცენ აზრის გამოხატვის საშუალება.

ამრიგად, შემოთავაზებულ თეორიულ ცოდნას ყოველთვის ხანგრძლივი გამოცდილება ამყარებს, სწავლების სტრატეგიების სწორად შერჩევა და გამოყენება კი წარმოადგენს სწავლების მიზნების საფუძველის. იგი აისახება როგორც მასწავლებლის აგრეთვე სტუდენტის მიღწევებზე, ამდენად სწავლების სტრატეგიები არის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შემადგენელი კომპონენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Woolfolk, A. Educational Psychology. The Ohio State University. A Pearson Education Company. 2001. 8th edition
2. Suwe B.S. Transforming the whole class into gossiping groups. Forum. 2002.Volume40, Number 1, pg44-49
3. http://www.columbia.edu/cu/tat/old/4_teaching.html
4. http://eleaston.com/methods.html
5. http://www4.ncsu.edu/unity/lockers/users/f/felder/public/Papers/Largeclasses.htm
6. http://en.wikipedia.org/wiki/Bloom's_Taxonomy
7. http://www.ops.org/reading/blooms_taxonomy.html
8. http://www.nwlink.com/~donclark/hrd/bloom.html

Article received: 2007-07-26